გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 78

2024 წლის 13 მაისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის ქონების სს „სილქნეტისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წლის 1 თებერვალს (N 10/202403249-20) შემოსულია სს „სილქნეტის“ (ს/ნ 204566978) წერილი, რომელშიც 5 წლის ვადით მოთხოვნილია, ქ. გორში, სუხიშვილის ქუჩის მიმდებარედ (დავით აღმაშენებლის ქუჩა N221 - ის მიმდებარედ) ს/კ 66.00.737 არსებული 3 ერთეული გარე განათების ბოძის იჯარის ფორმით გადაცემა, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისთვის.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის'' მიერ 2024 წლის 18 აპრილის N121-ქ გარე განათების კონსტრუქციების (გარე განათების ბოძები - ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსების მიზნით) საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, ქ.გორში, სუხიშვილის ქუჩის მიმდებარედ 66.00.737 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 3 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 80,00 (ოთხმოცი) ლარით;

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული გარე განათების ბოძების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება და მათი დროებითი სარგებლობის უფლებით გაცემა ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოაღნიშნული ქონების, სს „სილქნეტისთვის“ (ს/ნ 204566978) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების

დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს ჯერ ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ წლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ და „დ.დ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, ს/კ 66.00.737 ქონებიდან 3 (სამი) ერთეული გარე განათების ბოძი (მისამართი: ქ. გორი, სუხიშვილის ქუჩის მიმდებარედ) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ხელშეკრულებით გადასცეს სს „სილქნეტს“ (ს/ნ 204566978), ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების განთავსების მიზნით.
2. ს/კ 66.00.737 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 3 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 80.00 (ოთხმოცი) ლარით;
3. წლიური საიჯარო ქირა 3 (სამი) ერთეულ გარე განათების ბოძისთვის განისაზღვროს 180 (ას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.
4. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლის ვადით.
5. მოიჯარეს ზემოაღნიშნული 3 (სამი) ერთეული გარე განათების ბოძი გადაეცემა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების განთავსების მიზნით.
6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**